ეროვნული
ბიბლიოთეკა

ქართველ უღინების

საქართველოში გადმასვლების
მოკლე ისტორია.

ქ. ფოთ. საბჭოთ. ტვინ.

1924 წ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გასული 1922 წლის უკანასკნელ თვეებში საქართველოში ადერბეიჯანიდან გადმოსახლდა ჩვენი მონათესავე პატარა ერის ნაშთი ეგრედ წოდებული ქართველი უდინები. გადმოსახლებულთა რიცხვი 160 კომლს უდრის, საცხოვრებლად მათ მთავრობამ მიუნიჭა საუკეთესო ნოყიერი მიწა თელავის მაზრაში, ყვარელის რაიონში, მდინარე ალაზნის პირზე, ზომით 800 დესიატინამდე.

ეს გადმოსახლება იმდენად ღირს-შესანიშნავია და მას ისეთი ისტორია აქვს, რომ არ შეიძლება მასზე არ მივაქციოთ ქართველი საზოგადოების და კერძოთ კი, მშრომელი ხალხის ყურადღება. ამის გარდა საჭიროა ქართველმა ხალხმა იცოდეს თუ ვინ არიან უდინები, რა ნათესაური კავ-

F 23.968
2

საქართველოს პარლამენტის
ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

შირი აქვთ მათ ჩვენთან და რატომ ილტვოდენ ისინი ჩვენსკენ.

უდინების ისტორია ჯერ კიდევ სავსებით არ არის შესწავლილი, მხოლოდ ცნობილია, რომ ეს ხალხი უძველესი ტომისა არიან და მათ დიდი წარსული აქვთ. პირველად მათ შესახებ ჩვენ ვგებულობთ ისეთი ძველი ისტორიკოსებიდან, როგორიც არიან პლუტარხი, სტრაბონი და სხვა ახალ მკვლევარ ხა შორის უდინების შესახებ ნაწერები აქვთ საზღვარგარეთელ მწერლებს: შიფლერს, უხლარს და ჩვენს თანამემამულეს აკადემიკოსს მარს.

საქართველოში ამ საკითხის შესახებ ნაწერები აქვთ ქართველ ისტორიკოსებს ჯანაშვილს და ბაქრაძეს. ეს ისტორიკოსები აღნიშნავენ, რომ ეხლანდელ ადერბეიჯანის ფარგლებში, ნუხის მაზრაში, ოდესღაც იყო მთელი სამეფო ეგრედ წოდებუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლი, უდისტანი ანუ უდია. ამ სამეფოს სატახტო ქალაქი იყო ბერდუჯი ეხლანდელი ყარაბახი. ქართველი ხალხი ამ სახელმწიფოს ძველ ერეთს ეძახოდა. ეს სამეფო მუდამ მეგობრობაში და ძმურ განწყობილებაში ყოფილა საქართველოსთან. ქრისტიანული სარწმუნოება მათ მიუღიათ იმავე კაბადოკიელი ქალის ქართველთა განმანათლებელ ნინოსაგან. ენა უდინებს თავის საკუთარი აქვთ, რომელსაც ქართულ ენასთან ნათესაობა ეტყობა. უდისტანი ძველად ბუფერი ყოფილა საქართველოსა და სამუსულმანო ქვეყნებს შორის და საქართველოზე წამოსული მტრის რისხვა, პირველ ყოვლისა, უდინებს ხვდებოდა. სამაგიეროდ უდისტანი ქართველი მეფეების მფარველობის ქვეშ იყვნენ. საქართველოს აყვავების და სიძლიერის ხანა იყო იმავე დროს უდისტანის გაძლიერების და

ეროვნული ბიბლიოთეკა

კეთილდღეობის ხანა. მე-13 საუკუნეში ნოდან დაწყებული, როდესაც იწყება საქართველოს დაქუცმაცება და დაუძლურება, იწყება უდისტანის დაუძლურება-განადგურებაც. ფანატიკოსი მუსულმანობა, რომელთა შუა მოუხდა ცხოვრება უდინებს, მუდამ სდევნიდენ ამ პატარა ხალხს, ისინი მოწადინებული იყვნენ გაენადგურებიათ უდინები, რითვისაც ძალათ ამუსულმანებდენ და აქუცმაცებდენ მათ სპარსეთ'ში და ბაქოს მაზრა'ში გადასახლებით სასტიკი და შეუბრალებელი განადგურება უდისტანისა მოხდა ცნობილი ნადირხანის საქართველო'ში შემოსევის დროს. ამ დროს თითქმის მთელი უდისტანი იქმნა გამუსულმანებული და დაფანტული. მხოლოდ შვიდმა პატრიარქალურმა დიდმა ოჯახმა შესძლო და გაუწია სასტიკი წინააღმდეგობა მოძალადეებს. მათ არ იწამეს ისლამი, გაი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხიზნენ მიუვალ მთებში და ეძებენ მოკლებული ყოველივე ელემენტარულ საჭირო საგნებს, ძმიერ მწყურვალნი ებრძოდენ მტერს.

ბოლოს ნადირხანი დარწმუნდა ამ ერთი მუჭა ხალხის ურყევნების ყოფაში, დართო მათ ნება ჩამოსულიყვენ ბარში, შეენარჩუნებიათ თავისი ენა და სარწმუნოება და ეცხოვრათ მშვიდობიანათ, რის მაგივრადაც მათ უნდა ეხადნათ ხარკი, ეგრეთ წოდებული „დინ იფამი", რაც ნიშნავს ხარკს სარწმუნოებისათვის და თავისუფლებისათვის. ეს შვიდი კომლი მომავალში, საუკუნოების განმავლობაში, გაიზარდა რამოდენიმე ასეულ მოსახლედ, მაგრამ ვერც შემდეგ ნახეს უდინებმა სიმშვიდე და ბედნიერება. იმავე მტრობით და შურით შესცქეროდენ ამ ძშვიდ და ზრომის მოყვარე ხალხს გარს შემორტყმული ფანატიკოსი მუსულმანობა, რომე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლნიც, იხელთებდენ თუარა დროს, შეხვოდენ ხოლმე და ანადგურებდენ მათ. ასეთი ცხოვრების შედეგი ის იყო, რომ 1914 წელში, დიდი ომის დასაწყისის წინ უდინების რაოდენობა დაახლოებით უდრიდა მხოლოდ 250 მოსახლეს 1200 სულს უდინების რიცხვმა საგრძნობლად იკლო და იგი სრულებით გადაშენების გზას დაადგა 1917 წლის შემდეგ, ვიდრე საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე ადერბეიჯანში, მუსავატელების დროს, მაშინ, როდესაც ადერბეიჯანში დამყარდა სასტიკი უწესრიგობა და ყოყელგვარ ბოროტებას ფართო გასაქანი მიეცა.

სისასტიკით, დაუვიწყარი და ისტორიული დღე არის უდინებისათვის 1920 წლის 27 მაოტი. ამ დღეს მათ სოფელს დავრთაშენს თავს დაესხა გამხეცებული ფანატიკოსი ბრბოები და დედამიწასთან გაასწო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რეს იგი. მოკლულ იქმნა 57 კაცი, ეროვნული
დარბეული და წალებული იქმნა ქონ-
ება, გარეკილ იქმნა მთელი საქონე-
ლი და განადგურებული ყველასფერი
ის რისაც წალება შეუძლებელი იყო.
ამ უბედურებამ უდინების მოთმი-
ნების ფიალა ააავსო. ისინი ან საბო
ლოოდ უნდა შერიგებოდენ თავის
გადაშენებას ან და უნდა გამოენახათ
გზა თავის გადარჩენისა. და აი, ამ
გზის ძიებაში, უდინები თვალს აპ.
ყრობენ საქართველოს და იწყებენ
მისკენ ლტოლვას. ეს აზრი ძველა-
დაც, მეფის დროსაც, იყო დაბადე-
ბული უდინებში, მაგრამ მაშინ ამა-
ზე ლაპარაკი ხომ კრამოლად ჩაი-
თვლებოდა და მასზე ოცნებაც ზედ-
მეტი იყო. მეფის ტახტის დამსხვრე-
ვის შემდეგ და, განსაკუთრებით
1920 წლ. 27 მარტის შემდეგ, საქარ-
თველოში გადმოსახლება იმდენად
პოპულიარული შეიქმნა უდინებში,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ მათ შროის პატარა ბავშვსაც კი ვერ ნახავდით, რომელთაც საქართველოში გადმოსახლება ოცნებათ არ ქონოდათ გადაქცეული.

პირველი პრაქტიკული ნაბიჯები ამ მხრივ გადაიდგა მენშევიკების დროს 29 ეკენისთვეს 1920 წელში. ამ დღეს უდინების დელეგაციამ მიმართა საქართველოს მთავრობას თხოვნით უდინების საქართველოს ტერიტორიაზე მიღების შესახებ. მაშინდელმა მთავრობამ ამ საკითხს მიაქცია ყურადღება, მაგრამ, სხვა და სხვა მიზეზების გამო, საქმე მხოლოდ დიპლომატიური მიწერ-მოწერით გათავდა.

საბოლოოდ ეს საკითხი გადასჭრა და ცხოვრებაში გაატარა მხოლოდ საქართველოს საბჭოთა მთავრობამ, რომელმაც, წარსული 1921 წ. 29 მაისის დადგენილებით, ალიარა აუცილებელ საჭიროებად ქართვე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლი უდინების საქართველოს
მოსახლეობა. ამ მიზნით საბჭოთა მთა-
ვრობამ დანიშნა თავისი რწმუნებული
ქართველი უდინი ამხ. ზინო სილი-
კაშვილი, გასცა მის განკარგულე-
ბაში გადმოსახლებს მ. საწყობათ
500 მილიონი მანეთი, მისცა მას მრა-
ვალი სამეურნეო იარაღი და საზო-
გადოთ აღმოუჩინა ყოველივე და-
ხმარება. დღეს ეს დიდი ხნის ნაფი-
ქრალ ნააზრევი საქმე უკვე ფაქტად
ქცეულია. უდინების უკანასკნელი
წყება უკვე ჩამოვიდა თავის ახალ
სამოსახლოზე წარსული წლის დეკე-
მბრის უკანასკნელ რიცხვებში. აქ
არ შეიძლება არ აღვნიშნოთ ის დი-
დი ღვაწლი და ენერგია, რომელიც
ამ საქმეში მიუძღვის მთავრობის
რწმუნებულს ამხ. ზინო სილიკა-
შვილს. ეს პიროვნება რამოდენიმე
თვის განმავლობაში დაუსვენებლად
მუშაობდა ამ გადმოსახლების ჩასა-

ტარებლად. მას ბევრი დაბრკოლებანი შეხვდა გზაზე, მაგრამ შრომამ და უშრეტელმა ენერგიამ ყველასფერი სძლია და საქმე საბოლოოდ მოაგვარა. დღეს ამხ. ზინო სილიკაშვილი კახეთში უდინების ახალ საძოსახლოზე იმყოფება და ხელმძღვანელობს დასახლებას.

დასახლება სწარმოებს წინასწარ შემუშავებული გეგმით ინჟენერის ხელმძღვანელობით, სამოსახლოდ ამორჩეულია მაღლობი ადგილი, რომელიც გარსშემორტყმულია ტყით უდინები მიწის მუშა და დიდი შრომის მოყვარე ხალხია, ამის დასამტკიცებლად საკმარისია ნახოთ სოფელი ვართაშენი, სადაც ისენი სახლობდენ და მისი მიდამოები. მათ ეს კუთხე ბალათ აქციეს და ტყუილად არ ერქა ამ სოფელს „ვარდთაშენი". თვით სოფელი გაშენებული იყო ქვითკირის ლამაზი სახლებით თავისი მორთუ-

ლობით. თუ რამდენად დიდი იყო
უდინების საქართველოში გაძლისა-
ხლების სურვილი იქიდანაც სჩანს,
რომ მათ მიატოვეს ასეთი მდიდრუ-
ლად გაშენებული სოფელი მაგრამ
სწორედ ეს გარემოებაა დამამტკიცე-
ბელი უდინების დიდი ნებისყოფი-
სა და შრომის მოყვარეობისა. ისენი
სტოვებდენ რა თავის გაშენებულ
სახლ-კარს, იმედოვნებდენ მითი,
რომ მათი მარჯვენი, გამეხნეებული
ცხოვრების ახალი პირობებით, უფრო
დიდის ენერგიით მოეკიდება საქმეს
და სულ მოკლე ხანში თავის ახალ
საცხოვრებელს ახალ ვარდთაშენად
აქცევს (სოფელს ახალი ვართაშენი
ერქმევა). ქართველი ხალხის
მოვალეობა არის ჯერ, ამ პირველ
ხანებში, ხელი გაუწოდოთ ამ ჩვენ
ახალ თანამოძმეთ და შეძლებისა და
გვარად მათ ქონებრივი და მორა-
ლური დახმარება გაუწიოთ, რითაც

F 93.468
2

საქართველოს პარლამენტის
ეროვნული ბიბლიოთეკა

ЧЗლ. 23/7

მათ ჩვენ გავაძხნევებთ და იმ იმედებს გაუმართლებთ, როგორიც [illegible] მოეშურებოდენ თავის ახალ [illegible] ბლოში.

F23.468
2
ეროვნული
ბიბლიოთეკა

გამოცემა 1

საქართველოში გადმოსახლებულ უდინთა დამხმარე საზოგადოების ფოთის განყოფილებისა.

ნ. დ. ს. ი.